



ვებ გვერდი

15/09/2015

სარეგისტრაციო კოდი

010250000.35.152.016232

## დუშეთის მუნიციპალიტეტის საკრებულო

### დადგენილება N 25

2015 წლის 8 სექტემბერი

ქ. დუშეთი

**„დუშეთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ქუჩების, მოედნების, გამზირების, შესახვევების, ჩიხების, მრავალბინიანი სახლების სადარბაზოებისა და ბინების ნუმერაციის წესის დამტკიცების შესახებ“ დუშეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 05 ივნისის N21 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ**

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 61-ე მუხლის პირველი და მე-2 პუნქტების, „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის და „საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის“ 63-ე მუხლის შესაბამისად, დუშეთის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:

#### **მუხლი 1.**

„დუშეთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ქუჩების, მოედნების, გამზირების, შესახვევების, ჩიხების, მრავალბინიანი სახლების სადარბაზოებისა და ბინების ნუმერაციის წესის დამტკიცების შესახებ“ დუშეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 05 ივნისის N21 დადგენილებაში ([matsne.gov.ge](http://matsne.gov.ge), 09/06/2015, 010250000.35.152.016228) შეტანილ იქნეს ცვლილება და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

ა) დუშეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 05 ივნისის N21 დადგენილების სათაური შეიცვალოს და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით: „დუშეთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ქუჩების, შესახვევების, ჩიხების, მრავალბინიანი სახლების სადარბაზოებისა და ბინების ნუმერაციის წესის დამტკიცების შესახებ“;

ბ) დანართი N1-ის სახით დამტკიცებული მუხლი 8 ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

#### **„მუხლი 8. გადაწყვეტილების მიღების წესი**

1. გეოგრაფიული ობიექტის ნუმერაციის შესახებ ადმინისტრაციული წარმოება იწყება დაინტერესებული პირის ან/და ადმინისტრაციული ორგანოს ინიციატივის საფუძველზე.

2. ნუმერაციის შესახებ ინიციატივა (განცხადება, მომართვა და ა.შ.) წარედგინება დუშეთის მუნიციპალიტეტის გამგეობას. ინიციატივას უნდა ერთვოდეს:

ა) ობიექტის აღწერა (ნახაზი, ორთოფოტო, საკადასტრო რუკა და სხვა);

ბ) დაინტერესებული პირის საკუთრების ან კანონიერი სარგებლობის უფლების დამადასტურებელი დოკუმენტი;

გ) სხვა დოკუმენტაცია, რომელიც უშუალოდ არის დაკავშირებული და გამომდინარეობს მოთხოვნის შინაარსიდან;

3. საკითხს გამგებლის დავალებით შეისწავლის გამგებლის ბრძანებით შექმნილი სამუშაო ჯგუფი, რომელიც ამზადებს განკარგულების პროექტს ნუმერაციის მინიჭების/შესწორების შესახებ და წარუდგენს დუშეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს;

4. საკრებულოს კომისია, გამგეობის მიერ წარმოდგენილი განკარგულების პროექტის გათვალისწინებით, ამზადებს და საკრებულოს ბიუროს წარუდგენს შესაბამის დასკვნას.

5. საკრებულო მიღებული გადაწყვეტილების თაობაზე კანონით დადგენილი წესით აცნობებს დაინტერესებულ პირს და დუშეთის მუნიციპალიტეტის გამგეობას;“

## **მუხლი 2.**

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საკრებულოს თავმჯდომარე

გიორგი ლაფანაშვილი